




ELENE AIKHAVLEDIANI

AND HER ERA



ეფენე აიკხავედიანი
სურსათების
და სპორტის

ელენე ახვლედიანი და მისი ეპოქა
ELENE AKHVLEDIANI AND HER ERA



Ministry of Culture, Sport and Youth of Georgia



საგამოფენო პროექტი - ბაია გალერეა
კურატორი - ბაია წიქორიძე
Exhibition project - Baia Gallery
Curator - Baia Tsikoridze

გამოფენა / EXHIBITION

15.12.2021 – 25.01.2022



ელენე
ახვლედიანი
და მისი ეპოქა

ELENE
AKHVLEDIANI
AND HER ERA

პეტრე ბლიოტკინი
გიგო გაბაშვილი
ლადო გუდიაშვილი
ფელიქს ვარლამიშვილი
კირილე ზდანევიჩი
მოსე თოიძე
დავით კაკაბაძე
ქეთევან მაღალაშვილი
პეტრე ოცხელი
კორნელი სანაძე
ვალერიან სიდამონ-ერისთავი
ნიკოლაი სკლიფოსოვსკი
ვერა ფაღავა
ბორის ფოგელი
დimitრი შევარდნაძე
ოსკარ შმერლინგი
ვასილი შუხაევი

Petre Bliotkin
Boris Fogel
Gigo Gabashvili
Lado Gudiashvili
David Kakabadze
Ketevan Magalashvili
Petre Otskheli
Vera Pagava
Korneli Sanadze
Dimitri Shevardnadze
Oskar Shmerling
Vasily Shukhaev
Valerian Sidamon-Eristavi
Nikolay Sklifosovsky
Mose Toidze
Felix Varlamishvili
Kirill Zdanevich

„ბაია გალერეა“ აგრძელებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას კერძო კოლექციებში არსებული ხელოვნების ნიმუშების მიხედვით. 2019 წელს გალერეამ ამ მიმართულებით წამოიწყო ახალი პროექტი „მხატვარი და მისი ეპოქა“. პროექტი ითვალისწინებს ერთი მხატვრის შემოქმედებაზე ორიენტირებით, მისი მოღვაწეობის დროს მიმდინარე პროცესების წარმოჩენას. საგამოფენო პროექტი „ელენე ახვლედიანი და მისი ეპოქა“ მე-20 საუკუნის უდიდესი ქართველი მხატვრის შემოქმედების კონტექსტში წარმოგვიდგენს მისი თანამედროვე არტისტების აქამდე უცნობ ნამუშევრებს, კერძო კოლექციებში დაცულ უნიკალურ მასალას, ქართული კულტურის რარიტეტებს. ასეთი აღმოჩენები ძალზე საინტერესოა ხელოვნებაში არსებული უცნობი მოვლენების კვლევის თვალსაზრისით და, ასევე ხელს უწყობს კერძო კოლექციების მნიშვნელობის წარმოჩენას, რადგან ხშირად სწორედ ისინი ქმნიან სამუზეუმო ინსტიტუციების ბაზას.

ედღვნება ირინა კალანდაძის ხსოვნას

Baia Gallery continues the study of the Georgian cultural heritage through artworks preserved in private collections. In 2019, the gallery launched a new project: 'The Artists and their Era.' It pursues the goal of focusing on the works of a specific artist and revealing the creative processes that took place in parallel to his or her career. The exhibition project 'Elene Akhvlediani and Her Era' will display the working context of the greatest Georgian artist Elene Akhvlediani, and present hitherto unknown works by major artists of the 20th century, unique materials preserved in the private collections, and rare items of Georgian culture. Such discoveries are highly significant for the research of little-known events, as well as highlighting the importance of private collections in terms of preserving cultural heritage. Private collections very often form the basis for museums, and enable privately owned and preserved treasures to be made accessible to the wider public.

To the memory of Irina Kalandadze





ქეთევან მაგალაშვილი
ელენე ახვლედიანის პორტრეტი
ქაღალდი, ნახშირი
KETEVA MAGALASHVILI
PORTRAIT OF ELENE AKHVEDIANI
Charcoal on paper
22.5 X 19,5 cm. 1924

სურთ ნებულებანი სერობოგრაფად

დაიბადე 1898წ. ქ. თელავში, ექიმის ოჯახში. ვსწავლობდი თელავში წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელში. მამის თხოვნით ვრედაქციონირებდი ჟურნალს "საბჭოთა განვითარება" თელავში და მისი გამგეობის წევრად ვიყავი (მას შემდეგ კომუნისტურ პარტიამ დაიშალა). ვსწავლობდი ხელოვნებათა ინსტიტუტში თბილისში და მ.გ. დამთავრდი ხელოვნებათა ინსტიტუტში. ვიბრძობდი დემოკრატიისთვის და ვიყავი მთავრობის წინააღმდეგობის ერთ-ერთი მხარდარი. 1918-1920წწ. ვსწავლობდი ხელოვნებათა ინსტიტუტში. 1919წ. მივიღე მონაწილეობა ქართული მხარდარის წევრობის გამოცემაში. 1921წ. სწავლა დაიწყო თბილისის სახელობის აკადემიაში პროფ. გ. ვასაძის კლასში. 1922წ. აკადემიის სტუდენტობიდან ვაღმარებდი ვიყავი სსრკ-ის კავშირში, ვიყავი მხარდარი ოქტომბრის, მხარდარი - მარქსისტული 1924 წლის, რან. ვსაქართველოში კომუნისტების აკადემიაში.

მონაწილეობა მივიღე რადიკალურ გამოცემაში "რამთავე-მეტი" და "საბჭოთა" სტუმარში" და "განმანათლებლობის" და "საბჭოთა რევოლუცია" სტუმარში გამოცემების დახმარებით. თბილისის კეთილი საქმის მხარდარი და მონაწილეობა დრამაში მხარდარში, ამ სტუმარში და მონაწილეობა მთლიანად. 1926წ. მივიღე მონაწილეობა მხარდარის გამოცემაში "Quatre chemins" - ში, აგრეთვე მივიღე მონაწილეობა ქ. ნიუ-იორკში გამართულ ნახევარწლიან გამოცემაში. მხარდარის გამოცემა ახლ აგრეთვე ქ. თელავში, მხარდარი რედაქციის, ვინაიდან 1927წ. გამოვიქცევი თბილისიდან. 1927-1928წ. მხარდარი მხარდარის გამოცემაში, თელავში, მთლიანად. მონაწილეობაში ვიყავი საქართველოში მხარდარის კავშირის ყველა გამოცემაში. 1928წ. ვიყავი მხარდარის მხარდარი რედაქციის მხარდარი და ვიყავი ქ. მხარდარის ხელოვნებათა

„შაბი-აქყაი“, ა. ჭავჭავაძის შოთაშაბი და შაბი-ბრძანის 1963³.
 1936 წ. - რაჭა-ლეჩხუმის რაიონის „საბურთო ნიჭი“ ორგანიზაცია.
 1946 წ. - შაბი-ბრძანის სახელობის უნივერსიტეტის რაიონული
 მეთოდური ცენტრი.
 1960 წ. - შოთაშაბი ლეონტი მელიქიძის სახელობის
 უნივერსიტეტი და „საბურთო“. ამავე წელს შოთაშაბი სახელობის
 სახელობის მხარეთმცოდნეო საბჭოში წევრი. 1961 წ. - საბურთალოს
 მხარეთმცოდნეო საბჭოში, რომელიც შაბი-ბრძანის სახელობის
 სახელობის და ამავე სახელობის ორგანიზაცია და შაბი-ბრძანის
 მხარეთმცოდნეო საბჭოში შიდა მხარეთმცოდნეო საბჭოში
 წევრი. შოთაშაბი: „საბურთო“ და შიდა შაბი-ბრძანის, შაბი-
 ბრძანის „საბურთო“
 1963-64 წ. შოთაშაბი ლეონტი მელიქიძის სახელობის
 უნივერსიტეტის რაიონული საბჭოში.
 1965 წ. - ლეონტი მელიქიძის სახელობის შოთაშაბი
 სახელობის საბჭოში. შოთაშაბი სახელობის საბჭოში
 წევრი და შოთაშაბი სახელობის საბჭოში. ამავე წელს
 შოთაშაბი სახელობის საბჭოში, ამავე სახელობის საბჭოში
 წევრი და შოთაშაბი სახელობის საბჭოში.
 1966 წ. - რაჭა-ლეჩხუმის უნივერსიტეტის ორგანიზაცია
 შაბი-ბრძანის.





ელენე ახვლედიანი 1898 წლის 18 აპრილს თელავში, დიმიტრი ახვლედიანისა და ელისაბედ ერისთავის ოჯახში დაიბადა. მამამისი სამხედრო ექიმი იყო. თელავის მახლობლად, სოფელ კურდღელაურში საკუთარი ხარჯებით აშენებულ ლაზარეთში უფასოდ მკურნალობდა ავადმყოფებს. ელენე ახვლედიანი ხუთი შვილიდან უფროსი იყო. წმინდა ნინოს სასწავლებელში ელენეს პედაგოგები იყვნენ ვასილ ბარნოვი და ვალერიან სიდამონ-ერისთავი.

1911 წელს ახვლედიანების ოჯახი თბილისში გადმოდის საცხოვრებლად. ელენე ქალთა II გიმნაზიაში აგრძელებს სწავლას. მისი ხატვის მასწავლებელი ნიკოლაი სკლიფასოვსკი იყო. მისი კერძო სტუდია ელისაბედის ქუჩაზე (ახლანდელი წინამძღვრიშვილის ქუჩა) ახვლედიანების სახლის მეზობლად მდებარეობდა და იქ სხვადასხვა დროს სწავლობდნენ: ალექსანდრე ბაბუქუძე-მელიქოვი, ირაკლი გამრეკელი, კირილე ზდანევიჩი, სოლიკო ვირსალაძე, სერგო ქობულაძე და სხვები.

1916 წელს ელენე ახვლედიანი ხატვის მასწავლებლად იწყებს მუშაობას. ამ პერიოდში მხატვრის მოღვაწეობა უკავშირდება „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ საქმიანობას, რომელიც ამავე წელს დიმიტრი შევარდნაძემ დააარსა. ამ საზოგადოების ინიციატივით, პარიზში სასწავლებლად მიდიან დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი და შალვა ქიქოძე, მოგვიანებით კი - ქეთევან მაღალაშვილი და ელენე ახვლედიანი. მათ შემოქმედებაზე გავლენა იქონია ევროპულმა მხატვრულმა მიმდინარეობებმა, თუმცა თითოეულმა მათგანმა შეძლო, მოდერნიზმის მხატვრული სისტემიდან აერჩია მისთვის საინტერესო მოდელი და საკუთარი, მონაცემების მიხედვით შეექმნა ინდივიდუალური სტილი. ამ მხატვრების მოღვაწეობამ, ფაქტობრივად, განსაზღვრა ქართულ კულტურაში მოდერნისტული მიმდინარეობების დანერგვა.

1919 წელს დიდების ტაძარში გაიმართა „ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა“, სადაც პირველად გამოიფინა ელენე ახვლედიანის ნამუშევრები: „ხრიზანტემები“, „ჩემი ოთახის კუთხე“, „ავიანი“, „ქუჩა“, „თელავი“, „თელავში“, „ბაღში“, „თბილისის მიდამოებში“ და 10 ცალი ეტიუდი.

1922 წელს ახვლედიანი სწავლას აგრძელებს თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე, სადაც მისი პედაგოგი გიგო გაბაშვილია. ამ პერიოდიდან, ბორის ფოგელის ხელმძღვანელობით, ელენე მხატვრების ჯგუფთან ერთად იწყებს ძველი თბილისის პეიზაჟებზე მუშაობას, რაც მიზნად ისახავს თბილისის უბნების დოკუმენტურ ფიქსაციას. ასე იწყება ახვლედიანის შემოქმედებაში ძველი თბილისის თემა.

სამხატვრო აკადემიაში ელენე ახვლედიანმა მხოლოდ რამდენიმე თვე ისწავლა, რადგან 1922 წელს, როგორც სტიპენდიანი, გაემგზავრა ევროპაში, ჯერ იტალიაში მეულე-

სთან აპოლონ კაკაბაძესთან ერთად და შემდეგ პარიზში. მათი ქორწინება ხანმოკლე აღმოჩნდა, პარიზში დაშორდნენ.

1924 წელს ელენე ახვლედიანი პარიზში ჩადის და სწავლობს ფილიპო კოლაროსის „თავისუფალ აკადემიაში“, ქეთევან მაღალაშვილთან ერთად. კოლაროსის აკადემია წარმოადგენდა სახელოსნოს, სადაც, საკმაოდ მცირე გადასახადის საფასურად, ხატვისა და ფერწერის სწავლა შეიძლებოდა.

მხატვარი ვაგენის ქუჩაზე ცხოვრობდა, კაფე „როტონდა-სთან“, კოლაროსის აკადემიასთან ახლოს. ამ კაფეში თავს იყრიდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული მხატვრები თუ პოეტები. მათ შორის იყვნენ: პაბლო პიკასო, ამედეო მოდილიანი, მარკ შაგალი, ჟორჟ ბრაკი, გიომ აპოლინერი, ფერნან ლეჟე, ანდრე დერენი, ვლადიმირ მაიაკოვსკი, ანა ახმატოვა, ჟან კოქტო, ანდრე ბრეტონი და სხვები. მისი სახელოსნო მდებარეობდა ატელიეების კომპლექს 'Ruche'-ში („სკა“).



ნათელა ერისთავი, აპოლონ კაკაბაძე, ელენე ახვლედიანი
NATELA ERISTAVI, APOLON KAKABADZE, ELENE AKHVLEDIANI

1925-1927 წლებში ელენე ახვლედიანი „დამოუკიდებელთა სალონის“ და „შემოდგომის სალონის“ გამოფენებში მონაწილეობდა:

„დამოუკიდებელთა სალონი“. Société des Artistes Indépendants. Grand Palais des Champs-Élysées.

1925 წელს 36-ე გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ახვლედიანის ორი სურათი ერთნაირი სახელწოდებით - „ქართული მოტივი“.

1926 წელს 37-ე გამოფენაზე მისი ორი ფერწერული ტილო გამოიფინა: „ძველი თბილისის კუთხე“ და „ქართული პეიზაჟი“. ორივე იქ, პარიზში დახატა საქართველოდან თან წაღებული ჩანახატების მიხედვით.

(„ძველი თბილისი“ ცნობილმა ფრანგმა მხატვარმა პოლ სინაკმა შეიძინა.

1926 წელს გალერეაში 'Quatre Chemins' ელენე ახვლედიანის პირველი პერსონალური გამოფენა გაიმართა. ეს გამოფენა უნახავს პაბლო პიკასოს და განსაკუთრებით მოსწონებია სურათი „კახეთი, ზამთარი“. პერსონალურ გამოფენაზე „ქართული პეიზაჟი“ კიდევ ერთხელ გამოიფინა.

ფრანგი კრიტიკოსი მორის რეინალი წერდა: „ელენე ახვლედიანი ქართველი მხატვარია, რომელმაც თავისი სამშობლოდან მთელი რიგი ჩანახატებისა ჩამოგვითანა. ეს ჩანახატები წარმოგვიდგენენ შესანიშნავ სცენებსა და მხატვრულ პეიზაჟებს საქართველოს ცხოვრებიდან. ნაწარმოებები შესრულებულია თავისებური ხერხით, რომელიც მომხიბლავი პეიზაჟის სიმშვენიერეს გადმოგვცემს, გვიპყრობს მხოლოდ ამ მხატვრისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური თავისებურებე-

AKHVLEDIANI (Hélène), née à Tiflis. — 50, rue Vavin, 6^{ee}.

26 Motif géorgien.
27 Motif géorgien.

AKHVLEDIANI (Hélène), née à Tiflis — Géorgienne. — Chez M^{me} Kakabadzé, 4 bis, rue Thibaud, 14^e.

27 Trio. — 2.500 fr.
28 Paysage. — 3.200 fr.

„ქართული პეიზაჟი“, ახვლედიანის ფრანგული პერიოდის შემდეგი სხვადასხვა კოლექციებში გადანაცვლების შემდეგ საქართველოში აღმოჩნდა და წარმოდგენილია გამოფენაზე „ელენე ახვლედიანი და მისი ეპოქა“).

1927 წელს 38-ე გამოფენაზე ორი ნამუშევარი იყო ექსპონირებული: „ტრიო“ და „პეიზაჟი“.

„შემოდგომის სალონი“. Société du Salon d'Automne.

„შემოდგომის სალონში“ გამართულ გამოფენაზე მხატვარმა ორი ნამუშევარი წარადგინა - „ქართული სოფელი“ და „მეიდანია“.

ფრანგული პრესა ელენე ახვლედიანის შესახებ:

„ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე ელენე ახვლედიანი აერთიანებს მშვენიერ კოლექციას ზოგი პარიზული და ზოგიც ქართული პეიზაჟებისა. ქალაქის მიდამოების პოეზია სხვებისგანაც ყოფილა ასახული სიცხოვლით, მაგრამ გგონია, რომ ძველი თბილისის ატმოსფეროს პირველად გრძნობ... 'Journal des débats'.

ბით. ელენე ახვლედიანის სურათები თითქოს სურნელებითაა დატვირთული, ყოველი სურათი განმსჭვალულია გულწრფელი ემოციებით. მისი ნახატები უაღრესად მომხიბვლელი არიან თავისი სიმსუბუქითა და სიფაქიბით“.

პარიზში ელენე ახვლედიანი ინტენსიურად მუშაობს. ხატავს როგორც სახელოსნოში, ისე ქუჩებსა და კაფეებში. პარიზის უამრავ პეიზაჟს ასრულებს. ორ ნამუშევარს გზავნის ნიუ-იორკში, „ხელოვნების სახლში“ გრაფიკის გამოფენაზე. იმავე წელს მხატვარს იწვევენ ჰოლანდიაში, თუმცა წასვლას ვერ ახერხებს - ვინაიდან დედის ავადმყოფობის გამო იძულებული ხდება, საქართველოში დაბრუნდეს.

1927 წელს, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, იმართება მხატვრის მიერ უცხოეთში შესრულებული ნამუშევრების გამოფენა ჯერ თბილისში, სასტუმრო „ორიენტში“ (რუსთაველის გამზირი #34), „ქართველ მხატვართა საზოგადოების“ დარბაზში, შემდეგ კი გამოფენა მოეწყო თელავსა და ქუთაისში.

1927 წელს კოტე მარტანიშვილი აყალიბებს ქართულ დრამატულ თეატრს ქუთაისში და ელენე ახვლედიანს თეატრში სამუშაოდ იწვევს. რეჟისორი მოიხიბლა მხატვრის ნამუშევრების დეკორატიულობით და სივრცის კონსტრუირების მეთოდით, რომელიც სცენოგრაფიული გამოსახულების შთაბეჭდილებას ქმნიდა. მარტანიშვილთან პერიოდულად მუშაობდნენ დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, თამარ აბაკელია, სერგო ქობულაძე, ევგენი ლანსერე და სხვები, მუდმივად კი - პეტრე ოცხელი და ელენე ახვლედიანი.

1928 წელს მხატვარმა მარტანიშვილის თეატრში დაიწყო მუშაობა და ხუთი წლის განმავლობაში 20-ზე მეტი სპექტაკლი გააფორმა. კოტე მარტანიშვილისა და ელენე ახვლედიანის მიერ ერთობლივად განხორციელებულმა სპექტაკლებმა საფუძველი დაუდო თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების ახალ ეტაპს ქართულ თეატრში.

1934 წლიდან მხატვარი მუშაობას იწყებს წიგნის გრაფიკაში. ელენე ახვლედიანი ქართული საბავშვო წიგნის ერთ-ერთი პირველი ილუსტრატორთაგანი იყო. ეს ის პერიოდია, როდესაც საბჭოთა კავშირში განსაკუთრებით მწვავედ ბრძოლა ფორმალისმის წინააღმდეგ და ნებისმიერი გადახვევა სოცრეალიზმის კურსიდან მხატვრისთვის საფრთხის მომასწავებელია. ამიტომ ახვლედიანი ამ პერიოდში მხოლოდ თეატრის მხატვრობითა და წიგნის გრაფიკით შემოიფარგლება და ფერწერას ნაკლებ ყურადღებას უთმობს. 1937 წელს რეპრესიების მსხვერპლთა შორის აღმოჩნდნენ მხატვრის მეგობრები: დიმიტრი შევარდნაძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, პეტრე ოცხელი, აპოლონ კაკაბაძე, ჰენრიხ ჰრინეგსკი და სხვები.

1939 წელს ელენე ახვლედიანმა მიიღო სახელოსნო ს. პეროვსკაიას ქუჩაზე, სადაც 1978 წლიდან მისი სახლ - მუზეუმი. აქ იკრიბებოდნენ იმ პერიოდის გამოჩენილი მწერლები, მხატვრები და მუსიკოსები. ელენე საკუთარ სახელოსნოში ხშირად მართავდა სხვადასხვა მხატვრების გამოფენებს.

1946 წელს ელენე ახვლედიანს მიენიჭა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1954 წელს ელენე ახვლედიანი კინოში იწყებს მოღვაწეობას. მისი შექმნილია კოსტიუმები ფილმებისთვის: „ჭრიჭინა“ (1954წ.), „ეთერის სიმღერა“ (1956წ.), „შეწყვეტილი სიმღერა“ (1960წ.), „ბროწეულის ფერი“ (განუხორციელებელი დადგმა).

1950-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დასაწყისში იმართება მხატვრის პერსონალური გამოფენები უკრაინაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ამავე პერიოდში ახვლედი-

ანმა იმოგზაურა ბალტიისპირეთსა და ჩეხოსლოვაკიაში. განსაკუთრებით საინტერესოა „ტალინის სახურავებისა“ და „ბრატისლავას პეიზაჟების“ სერია. ეს ნამუშევრები წარმოდგენილი იყო 1960 წელს თბილისში გამართულ მხატვრის პერსონალურ გამოფენაზე. ამ სერიით, თითქმის 20-წლიანი პაუზის შემდეგ, მხატვარი თავის ჟანრს - პეიზაჟს დაუბრუნდა.

1960 წელს ელენე ახვლედიანს მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის წოდება.

1961 წელს ახვლედიანი, პეიზაჟისტ მხატვართა ჯგუფთან ერთად, რომელსაც თავად ქმნის, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობს. ჯგუფის მუშაობის მიზანი იყო პლენერზე ხატვა, რასაც მხატვარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

1967 წელს მოსკოვში, აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, მოეწყო მხატვრის პერსონალური გამოფენა; ტალინში ელენე ახვლედიანისა და ქეთევან მაღალაშვილის ნამუშევრების ერთობლივი გამოფენა გაიმართა.

1969 წელს ელენე ახვლედიანი მონაწილეობს გერმანიაში გამართულ ქართული კულტურის დღეებში, 1971 წელს კი ასრულებს ნამუშევართა სერიას თბილისის თემზე - „ძველი და ახალი თბილისი“, რომლისთვისაც რუსთაველის სახელობის პრემიას ანიჭებენ.

1968 წელს ახვლედიანმა თავის სახელოსნოში ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა მოაწყო, ხოლო 1973 წელს, მისი ინიციატივით და ძალისხმევით, თბილისში ბავშვთა სურათების გალერეა გაიხსნა.

ელენე ახვლედიანმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ძველი თბილისის იერსახის შენარჩუნებაში. არქიტექტორი შოთა ყავლაშვილი ქალაქის ძველი უბნების რეკონსტრუქციისას მისი ნამუშევრებით ხელმძღვანელობდა და აღნიშნავდა, რომ „ახვლედიანის სურათებით შეიძლება თითქმის მთელი ძველი თბილისის აღდგენა“. ამიტომ 1982 წელს პირველი ურბანული რუკა მან სწორედ ელენე ახვლედიანის ჩანახატების მიხედვით შეადგინა - იმგვარად, რომ თბილისში ძველი ქალაქის ყოველი წერტილიდან გამოჩენილიყო მთაწმინდა და ნარიყალა, თელავში კი - ნადიკვარი, კაკაკასიონი ან ალაზანი.

1975 წლის 30 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, ელენე ახვლედიანის ინიციატივით, მხატვარ ქალთა ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. დახურვის დღეს, როდესაც მხატვარი სიტყვით უნდა გამოსულიყო, ის მოულოდნელად გარდაიცვალა.





Elene Akhvediani was born on April 18, 1898 in Telavi, in the family of Dimitri Akhvediani and Elisabeth Eristavi. Her father was a military doctor who treated the sick for free at a self-funded infirmary next to the village Kurdgelauri in close vicinity of Telavi. Elene Akhvediani was the eldest of five children. At St. Nino's School her instructors were Vasil Barnovi and Valerian Sidamon-Eristavi.

In 1911 the Akhvediani family moved to Tbilisi where Elene continued her studies at the Second Women's Gymnasium. Her drawing teacher there was Nikolay Sklifasovsky whose private studio was located on Elisabeth street (currently Tsinamdzgvrishvili street) next to the house of the Akhvediani family. At different times it enrolled: Alexander Bazhbeuk-Melikov, Irakli Gamrekeli, Kirill Zdanevich, Soliko Virsaladze, Sergo Kobuladze and the others.

In 1916 Elene Akhvediani started to work as a drawing instructor. During this period the artist's work was related to the activities of the Georgian Artists' Society, which was founded the same year by Dimitri Shevardnadze. In 1919 at the initiative of the society Davit Kakabadze, Lado Gudishvili and Shalva Kikodze were sent to Paris to continue their studies there. They were later joined by Ketevan Magalashvili and Elene Akhvediani. Their works were influenced by the European creative movements, however each of them managed to choose from the Modernist artistic system the most appealing model of personal preference that corresponded most to his or her personal character and offered the opportunity to develop an individual style. The work of these artists practically shaped the way how Modernist movements were introduced into the Georgian culture.

In 1919 the Temple of Glory hosted the show Exhibition of Paintings by Georgian Artists where Elene Akhvediani showed her works The Chrysanthemums, The Corner of My Room, The Balcony, The Street, Telavi, In Telavi, Surroundings of Tbilisi and ten sketches for the first time.

In 1922 Akhvediani continues her studies at the Tbilisi State Academy of Arts, Faculty of Painting where her instructor is Gigo Gabashvili. Starting from this period, under the guidance of Boris Vogel and together with a group of artists Elene begins working on a series of landscapes of old Tbilisi with the goal to document its districts. This is the turning point when the theme of old Tbilisi starts to become focus of Akhvediani's work.

Elene Akhvediani has been enrolled at the Academy of Arts for only few months when in 1922 she was awarded a scholarship that allowed her to travel to Europe. Together with her husband Apollon Kakabadze she first visited Italy and then moved to Paris. However, the marriage turned out to be short-lived, and the couple divorced in Paris.

In 1924 Elene Akhvediani arrived in Paris where she attended the courses at Filippo Colarossi's Free Academy together with Ketevan Magalashvili. The Academy was in fact a workshop where one could study drawing and fine arts for a fairly small fee.

The artist lived on the Vavenne street, close to the Café de la Rotonde and the Académie Colarossi. The café was a meeting point for artists or poets from different countries, among them: Pablo Picasso, Amedeo Modigliani, Marc Chagall, Georges Braque, Guillaume Apollinaire, Fernand Legér, André Derain, Vladimir Mayakovsky, Anna Akhmatova, Jean Cocteau, André Breton, and the others. Her workshop was located at the studio complex La Ruche (Beehive).

In 1925-1927 Elene Akhvediani participated in the exhibitions of the Salon des Indépendants and the Salon d'Automne.

Salon des Indépendants at the Grand Palais des Champs-Élysées: In 1925 the 36th edition of the exhibition presented Akhvediani's two



paintings with the same title – Georgian Motif. In 1926 at the 37th edition of the exhibition, she showed two of her drawings: Corner of Old Tbilisi and The Georgian Landscape. Both works were produced in Paris based on the sketches made in Georgia.

The Old Tbilisi was purchased by the famous French artist Paul Signac. The Georgian Landscape, a masterpiece from Elene Akhvlediani's French period which moved from one collection to another finally relocated to Georgia and is presented at the show Elene Akhvlediani and Her Epoch.

In 1927, the 38th edition of the exhibition displayed two works of artist: Trio and The Landscape.

Salon d'Automne:

At the exhibition held at the Salon d'Automne Akhvlediani showed two works: The Georgian Village and The Maidan.

French press wrote about her: 'At the crossroads of Europe and Asia, Elene Akhvlediani unites in one beautiful collection Parisian and Georgian landscapes. The poetry of the city surroundings has been presented in a lively way by the others as well, but this is the first time when one can feel the atmosphere of old Tbilisi' (Journal des débats).

In 1926, the first personal exhibition of Elene Akhvlediani was held at the Quatre Chemins Gallery. It was visited by Pablo Picasso who especially liked the drawing Kakheti, Winter. The Georgian Landscape has been exhibited at this personal exhibition once again.

According to the French critic Maurice Raynal: 'Elene Akhvlediani is a Georgian artist who brought us numerous sketches from her homeland. They depict wonderful scenes and artistic landscapes from the life of Georgia. The works are produced in a peculiar way, which demonstrates the beauty of a fascinating landscape and captures our attention with the individual features that are characteristic to this artist. Elene Akhvlediani's paintings seem to be loaded with the scents. Each of them is imbued with sincere emotions. Her works are extremely fascinating thanks to their lightness and delicacy.'

Elene Akhvlediani works intensively in Paris. She paints in her workshop as well as in the streets and cafes producing numerous landscapes. The artist sends two of her paintings to New York based House of Art to the exhibition of graphic works. The same year the artist is invited to the Netherlands, however she is not able to travel: because of her mother's illness she is forced to return to Georgia.

After returning to Georgia in 1927 the artist organizes the exhibition of works made abroad. The show first takes place in Tbilisi, at the Orient Hotel (34 Rustaveli Avenue) in the hall of the Georgian Artists' Society, and then in Telavi and Kutaisi.

In 1927, Kote Marjanishvili establishes the Georgian Drama Theater in Kutaisi and invites Elene Akhvlediani for collaboration. Theatre di-

rector is fascinated by the decorative style of artist's works and the method of space constructing, which creates an impression of a scenographic image. At different times Marjanishvili also worked with Davit Kakabadze, Lado Gudishvili, Tamar Abakelia, Sergo Kobuladze, Eugene Lanceray and the others, however, Petre Otskheli and Elene Akhvlediani were his constant collaborators.

In 1928 the artist started to work at the Marjanishvili Theater where during five years she produced stage design for more than twenty performances. The joint work of Kote Marjanishvili and Elene Akhvlediani laid the foundation to a new era of theatrical and decorative art in the Georgian theater.

Since 1934 the artist starts working as a graphic designer as well and becomes one of the first illustrators of Georgian children's books. This is a period when in the Soviet Union a fight against formalism turns especially intense and any deviation from the course of the social realism poses a threat to the artist. Therefore, during this period Elene Akhvlediani limits herself to the theater design and book graphics only paying less attention to painting. The 1937 repressions affect her friends Dimitri Shevardnadze, Paolo Iashvili, Titsian Tabidze, Petre Otskheli, Apollon Kakabadze, Henrik Hrinevsky, and the others.

In 1939, Elene Akhvlediani was given a workshop on the Perovskaya street – location which has been transformed into her house museum since 1978. It became a meeting point of eminent writers, painters, and musicians of that period often hosting exhibitions of various artists too.

In 1946 Elene Akhvlediani was awarded the title of the Honored Art Worker of the Georgian SSR.

In 1954 the artist starts working in the field of cinema where she creates the costumes for the following films: *The Cricket* (1954), *Etheri's Song* (1956), *The Interrupted Song* (1960), *The Color of Pomegranate* (unrealized project).

At the end of the 1950s and the beginning of the 1960s Elene Akhvlediani's personal exhibitions are held in Ukraine, Armenia, and Azerbaijan. During the same period the artist traveled to the Baltic countries and Czechoslovakia producing especially interesting series of *The Tallinn Roofs* and *The Bratislava Landscapes*. These works were presented at the artist's personal exhibition in Tbilisi (1960). With this series, after a break of almost twenty years, Akhvlediani returned to her favorite genre of landscape.

In 1960 Elene Akhvlediani was awarded the title of the People's Artist of the Georgian SSR.

In 1961 Akhvlediani creates a group of landscape painters and travels with it to different parts of Georgia. The main goal of the group is to draw during the plein air sessions, which the artist gave special importance to.

In 1967, the State Museum of Oriental Art in Moscow hosted the personal exhibition of Elene Akhvlediani. It was followed by a joint exhibition of works by Elene Akhvlediani and Ketevan Magalashvili in Tallinn.

In 1969, the artist participates in the Days of Georgian Culture in Germany. In 1971 she produces a series of works *The Old and New Tbilisi*, for which she is awarded the Rustaveli Prize.

In 1968 Elene Akhvlediani organized the exhibition of children's works in her studio. In 1973 thanks to her initiative and active campaigning the children's picture gallery opened its doors in Tbilisi.

Elene Akhvlediani played an important role in preserving of the appearance of old Tbilisi. During the reconstruction works of various districts the architect Shota Kavlashvili took guidance from her works noting that 'almost all parts of old Tbilisi can be restored based on Akhvlediani's paintings.' Therefore, in 1982, he compiled the first urban map based on Elene Akhvlediani's sketches in such a way that Mtatsminda and Narikala could be seen from every part of the old city. The same principle was applied in the case of Telavi where Nadikvari, the Caucasus mountains and the Alazani valley were taken as the points of reference.

On December 30, 1975, at the initiative of Elene Akhvlediani the Ministry of Finance hosted the exhibition of female artists. On the closing day, when the artist was expected to deliver a speech she suddenly passed away.



დავით კაკაბაძე, ელენე ახვლედიანი, ტანია კაკაბაძე, აპოლონ კაკაბაძე
DAVID KAKABADZE, ELENE AKHVLEDIANI, TANIA KAKABADZE, APOLON KAKABADZE



L'ART VIVANT: REVUE BIMENSUELLE DES AMATEURS ET DES ARTISTES. LES EXPOSITIONS

'L'ensemble de Mlle Akhvediani aux Ouatre-Chemins est fort intéressant parce qu'il nous montre les efforts excessifs de cette jeune artiste pour se débarrasser de cette afféterie, de ce maniérisme que nous trouvons chez d'autres peintres géorgiens, chez Lado Goudiachvili par exemple, et qui n'est d'ailleurs pas sans charmes. Les derniers paysages de Mlle Akhvediani nous prouvent qu'elle a maintenant atteint le but vers lequel elle tendait. Il ne lui reste plus qu'à perfectionner son art pittoresque et savoureux.'

„ქ-ნი ელენე ახვლედიანის ნამუშევართა ექსპოზიცია 'Ouatre-Chemins'-ში ძალზე საინტერესოა, რამეთუ მოწმობს ამ ახალგაზრდა მხატვრის დაუოკებელ სწრაფვას, გათავისუფლდეს ეფექტურობისკენ ლტოლვისგან, მანიერიზმისგან, რომელსაც სხვა ქართველ მხატვრებთან ვხედავთ - ლადო გუდიაშვილთან, მაგალითად, და რომელსაც უთუოდ თავისი ხიბლი ახლავს. ქ-ნი ახვლედიანის უახლესი პეიზაჟები დასტურია იმისა, რომ ხელოვანმა მიაღწია დასახულ მიზანს და ისღა დარჩენია, სრულყოს მისი ეს ფერეიული და ძარღვიანი ხელოვნება.“

AKHVLEDIANI (Hélène), née à Tiflis — Géorgienne. — 50, rue Vavin, 6^e.

33 Paysage géorgien. — 2,500 fr.

34 Un coin du vieux Tiflis. — 2,500 fr.

„ქართული პეიზაჟი“ 1926 წელს წარმოდგენილი იყო პარიზში გამართულ ორ გამოფენაზე: „დამოუკიდებელთა სალონის“ 37-ე ექსპოზიციაზე და ელენე ახვლედიანის პერსონალურ გამოფენაზე გალერეა 'Quatre Chemins.'

'Georgian Landscape' has been presented in 1926 at two exhibitions in Paris: the 37th exposition of the 'Salon of Independents,' and on the personal exhibition of Elene Akhvediani at Gallery 'Quatre Chemins.'

L'ART ET LA CURIOSITÉ
GALERIE DES QUATRE CHEMINS,
13, rue Godot-de-Mauroy. Exposition Hélène Akhvédiāni. Peintures — du 1^{er} au 14 octobre.



ელენე ახვლედიანი. ქართული პეიზაჟი. ტილო, ზეთი
ELENE AKHVLEDIANI. GEORGIAN LANDSCAPE. Oil on canvas
81 x 100 cm. 1925





ელენე ახვლედიანი

1898-1975

მე-20 საუკუნის დასაწყისში, როცა ელენე ახვლედიანი მოღვაწეობას იწყებს, ქართულ ხელოვნებაში პეიზაჟური მხატვრობის რამდენიმე მოდელი არსებობს - ლანდშაფტის დოკუმენტური ფიქსაციიდან განზოგადებულ გამოსახულებამდე. ელენე ახვლედიანი ქართული პეიზაჟური ფერწერის ახალ სახეს ქმნის და მთავარ ობიექტად საქართველოს ირჩევს. მის ნამუშევრებში პეიზაჟის საშუალებით სამყაროს მოდელი იქმნება და ეს მოდელი მისთვის - საქართველოა; ამიტომ ელენე ახვლედიანის შემოქმედება ერთგვარად საქართველოს პრეზენტაციაა.

მხატვარი თავიდანვე მოდერნისტული მხატვრობის ენას ირჩევს - ისე, რომ არ არღვევს ქართული კულტურის მნიშვნელოვან ორიენტირებს. ის ლანდშაფტური ანალოგიების შექმნისა და მათი ინტერპრეტირების განსაკუთრებული უნარით გამოირჩევა პეიზაჟური მხატვრობის ისეთ ვირტუოზებს შორის, როგორებიც არიან: დავით კაკაბაძე, ალექსანდრე ციმაკურიძე, ვალერიან სიდამონ-ერისთავი და შალვა ქიქოძე. პოზიციურად და სახვითი საშუალებებით ახვლედიანი ყველაზე ახლოს დავით კაკაბაძესთან დგას.

საუკუნის დასაწყისში, როცა რთული იყო ბალანსირება ტრადიციასა და ნოვატორობას შორის, მით უმეტეს ევროპული კულტურის სივრცეში, სადაც ძალიან სწრაფად ჩნდებოდა უამრავი ახალი მიმდინარეობა, ელენე ახვლედიანი პარიზში მიემგზავრება, მოდერნისტული ხელოვნების მონაწილე ხდება და ახერხებს, ისე გამოიყენოს ახალი მიმდინარეობების ელემენტები თავის შემოქმედებაში, რომ ქართული კულტურის პრიორიტეტი შეინარჩუნოს.

1920-იან წლებში, ქართულ კულტურაში მოდერნისტული ხელოვნების სხვადასხვა მიმართულება „პარიზი - თბილისის“ მხატვრული სკოლის წარმომადგენლებმა შემოიტანეს (1927 წელს დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, ქეთევან მაღალაშვილი - პარიზიდან საქართველოში დაბრუნდნენ; ვერა ფალავა, ვანო ენუქიძე, ვასილ ჯორჯაძე, ფელიქს ვარლამიშვილი, ილია ზდანევიჩი - ემიგრაციაში დარჩნენ; შალვა ქიქოძე და მიხეილ ბილანიშვილი - უცხოეთში გარდაიცვალნენ). მოდერნისტულ ხელოვნების ძირითად მიმართულებას ქართულ კულტურაში სწორედ ეს მხატვრები ქმნიან: დაბრუნებულები და ემიგრანტები. მათ შემოქმედებაში, სოციალიზმის რკინის ფარდის მიუხედავად, ანალოგიური პროცესები მიმდინარეობს, თითქოს მათ შორის უხილავი კავშირი არსებობს.

პარიზში - იმდროინდელი სამყაროს კულტურის ცენტრში, ელენე ახვლედიანი საკუთარ პოზიციას ირჩევს - სამყაროს ხედებს გარდაქმნის სანახაობად. საოცარი უნარი აქვს: შეუძლია ჩვეულებრივში დაინახოს არაჩვეულებრივი, ყოფიერე-

